

გენდერული საკითხები

ცვალებადი როლები ცვალებად საზოგადოებაში



დასაქმებული ქალი (ფოტო AFLO-სგან)

სწრაფვა გენდერულად თანასწორი საზოგადოებისკენ

1996 წლის დეკემბერში იაპონიის მთავრობამ მოამზადა გეგმა გენდერული თანასწორობა 2000, რითაც დასაბამი მიეცა 1999 წელს გამოშვებულ გენდერული თანასწორობის კანონს. კანონი ხუთ ძირითად საკითხს ეხებოდა: ადამიანის, როგორც ქალის ასევე მამაკაცის, უფლებების დაცვას; სოციალურ სისტემებში მათი თვალსაზრისის გათვალისწინებასა და განხორციელებას; პოლიტიკური კურსის დაგეგმვისა და მის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას, მათ თანაბარ მონაწილეობას; ოჯახურ ცხოვრებასა და სხვა აქტივობებში მამაკაცთა და ქალთა თავსებადობას და მათ საერთაშორისო თანამშრომლობას.

1999 წლის ძირითადი კანონი გენდერული თანასწორობის შესახებ დამტკიცდა კაბინეტის მიერ 2000 წლის დეკემბერში. იგი მოიცავდა შემდეგ 11 პრიორიტეტულ მიზანს: ქალთა მონაწილეობის გაფართოებას პოლიტიკურ გადაწყვეტილების მიღების პროცესში; სოციალური სისტემების მიმოხილვას გენდერული თანასწორობის პერსპექტივიდან გამომდინარე; თანაბარი შესაძლებლობების მიდგომის დაცვას დასაქმების პროცესში; სოფლად გენდერული

თანასწორობის დაწესებას; ქალისა და მამაკაცის მხარდაჭერას სამსახურებრივი, ოჯახური და საზოგადოებრივი ცხოვრების პარმონიზებაში; პირობების განვითარებას, რომელიც უზრუნველყოფს ხანდაზმულთა მშვიდობიან ცხოვრებას; ქალების წინააღმდეგ ძალადობის ყველა ფორმის აკრძალვას; ქალთა ჯანმრთელი სიცოცხლის ხელშეწყობას; ქალთა უფლებების პატივისცემას მედიაში; განათლებისა და სწავლების გაფართოებას იმ მიმართულებით, რაც პოპულარიზაციას უწევს გენდერულ თანასწორობასა და არჩევანის მრავალფეროვნებას და ამ გზით წვლილი შეაქვს „თანასწორობის, განვითარებისა და მშვიდობის“ საქმეში გლობალურ სამყაროში.

2001 წლის იანვარში ცენტრალური ხელისუფლების რეორგანიზაციის შედეგად შეიქმნა მინისტრთა კაბინეტი, სადაც განათავსეს გენდერული თანასწორობის საბჭო და გენდერული თანასწორობის ბიურო. მინისტრთა კაბინეტის ოთხი ძირითადი პოლიტიკური საბჭოდან ერთერთი, გენდერული თანასწორობის საბჭო, ამოწმებს და განიხილავს თანასწორობის მისაღწევად მიმართულ ძირითად სამთავრობო პოლიტიკასა და გენდერთან დაკავშირებულ მნიშვნელოვან პროცესებს. გენდერული თანასწორობის საბჭოს ემსახურება გენდერული თანასწორობის ბიურო, რომელიც ფუნქციონირებს, როგორც მოცემული საბჭოს სამდივნო და არის უფლებამოსილი იმ საკითხებთან დაკავშირებული გეგმების ფორმულირებასა და კოორდინირებაზე, რაც უკავშირდება გენდერულად თანასწორუფლებიანი საზოგადოების შექმნის მხარდაჭერას, ასევე მარტივი გენდერული თანასწორობის გეგმათა შემუშავებას, რაც ისეთი საქმეების განახორციელებას ისახავს მიზნად, რაც არ ხვდება არცერთი სამინისტროს იურისდიქციის ქვეშ.

ყოველ წელს სულ უფრო და უფრო მეტი მოწოდება გაისმის ქალების დასაქმების შესახებ სახელმწიფოს მმართველობის ორგანოებსა და პოლიტიკაში. ამრიგად, მთავრობამ შეიმუშავა პოლიტიკა - გაზარდოს მდებდრობითი სქესის წევრების რიცხვი სახელმწიფო საბჭოებსა და კომისიებში.

ქალთა სამუშაო პირობები



კოლეჯის ახალგაზრდა ქალი სტუდენტები (ფოტო Getty Images-გან)

1986 წლის აპრილში ძალაში შევიდა ქალთა და მამაკაცთა თანასწორუფლებიანი დასაქმების შესაძლებლობის კანონი, რომელიც განახლდა 1997 წლის ივნისში, რათა დაეჩქარებინათ ქალთა და მამაკაცთა შორის დისკრიმინაციის საკითხების დარეგულირება. განახლებულმა კანონმა, რომელიც ძალაში შევიდა 1999 წელს, აკრძალა გენდერული საბაზით თანამშრომელთა გამორჩევა სამსახურში, კერძოდ, დასაქმებისას, განსაკუთრებული სამსახურებრივი პოსტების დაკავებისას, დაწინაურებისას და სხვ., ასევე მოახდინა დამსაქმებლისგან სექსუალური ზეწოლის შემთხვევათა ერთგვარი პრევენცია. ეს

შესწორებები გარკვევით მიუთითებს, რომ დამსაქმებელს ეკისრება პასუხისმგებლობა მის მიერ ჩადენილ რაიმე გენდერული დისკრიმინაციის ფაქტზე.

თანაბარი დასაქმების შესაძლებლობის შესახებ კანონის მიღებასთან ერთად, ხელახლა გადაიხედა შრომის სტანდარტული კანონი, რათა მოხსნილიყო შვებულების პერიოდში, გვიან ღამით და არასამუშაო დღეებში ქალის მუშაობაზე დაწესებული შეზღუდვები. ამ შესწორების მიხედვით, ნებისმიერი სახის განსხვავებული მოპყრობა ქალების მიმართ ითვლებოდა გენდერულ დისკრიმინაციად. მიუხედავად იმისა, რომ დღეს შრომის პირობები ქალებისთვისაც და მამაკაცებისთვისაც გათანაბრდა, მაინც რჩება სამართლიანი პრეტენზია იმის თაობაზე, რომ ქალები უფრო მეტად არიან პასუხისმგებლები საოჯახო და ბავშვის აღზრდის საქმეში, ვიდრე მამაკაცები. შესაბამისად, იმ რეგულაციების გაუქმება, რაც ქალებს ანიჭებდათ უპირატესობას და მატებდათ დაცულობის შეგრძნებას, დღეს მათ ტვირთს უფრო აორმაგებს.

2013 წელს სამრეწველო საწარმოში დასაქმებულ პირთაგან 49,3% იყო ქალი, 10 პროცენტზე მეტი ვიდრე 1975 წელს, როდესაც დასაქმებული პირების 32.0% იყო ქალი. 1975 წლიდან სულ უფრო მეტი ქალი საქმდებოდა საყოფაცხოვრებო და კვებით ინდუსტრიაში, საბითუმო და საცალო გაყიდვებში, ელექტრო ტექნიკის დამამზადებელ საწარმოებში.

იაპონიის ეკონომიკური სტაგნაციის პირობებში, ათწლეულის მანძილზე, კომპანიებმა შეცვალეს ახალ კურსდამთავრებულთა დასაქმების ტრადიცია, რამაც გააუარესა დასაქმების გარემო როგორც ახალგაზრდა ქალებისთვის, ისე მამაკაცებისთვის. 2013 წლისთვის დასაქმების დონე უნივერსიტეტის კურსდამთავრებულთათვის იყო თითქმის თანაბარი მამაკაცებისთვისაც (93.2%) და ქალებისთვისაც (94.7%).

მოცემული პერიოდის პოზიტიური გნვითარების სურათი ზუსტად ვერ ასახავს რეალობას. კერძოდ, ბევრი ახალი კურსდამთავრებული ქალი იყო დროებითი სამსახურით დაკავებული და მიუხედავად იმისა, რომ ბევრი საწარმო ატარებდა პრეზენტაციებსა და ხშირად ახორციელებდა კადრების შევსებას უნივერსიტეტის სტუდენტებით, სადაც გოგონებიც იღებდნენ მონაწილეობას, ისინი მაინც ვერ სთავაზობდნენ შესაფერის ან თანასაწორუფლებიან დასაქმების შესაძლებლობებს ქალებს. რეალობა იმაზე მიუთითებს, რომ ქალების უმრავლესობა განიცდის ჯერ კიდევ გადასალახი ბარიერის არსებობის შეგრძნებას. იაპონური საზოგადოება იმედოვნებს, რომ ქალთა და მამაკაცთა თანაბარი შესაძლებლობების შესახებ კანონში 1997 წლის შესწორება, დადებით გავლენას იქონიებს არსებულ მდგომარეობაზე.

XX საუკუნის 90-იანი წლების შუა პერიოდიდან მოყოლებული საგრძნობლად გაიზარდა მამაკაცთა და ქალთა არარეგულარული და დროებითი სამუშაოებიდან შემოსული შემოსავლების პროცენტული მაჩვენებელი. თუ 1996 წელს ის იყო 20%, 2013 წლისთვის 37,1%-ს მიაღწია. ასეთი არარეგულარული სახის დასაქმებამ გაზარდა ისეთი სამსახურების რიცხვი, სადაც კომპანიები მუდმივი კადრების ნაცვლად დროებით თანამშრომლებს ასაქმებენ.

1980 წლიდან იმ ოჯახების პროცენტულმა მაჩვენებელმა, სადაც ქმარი და ცოლიც თანაბრად იყვნენ დასაქმებული, იწყო საგრძნობი ზრდა. 1992 წლიდან კი, 1995-1996 წლების გარდა, ორი შემოსავლიანი წევრის მყოფი ოჯახების რაოდენობა აღემატებოდა იმ ოჯახების რიცხვს, სადაც მხოლოდ მამაკაცი მუშაობდა. ბოლო წლებში ამ ორი გენდერული კატეგორიის დასაქმებაში არსებული სხვაობა კიდევ უფრო იზრდება.

მაღალი ხანდაზმულობის მაჩვენებლის მქონე საზოგადოება

იაპონიაში ორივე სქესის წარმომადგენელთათვის ქორწინების საშუალო ასაკის ზრდა და დაუოჯახებელი ადამიანების მომრავლება არის შობადობის შემცირების ორი მთავარი ფაქტორი. ამას ემატება მომუშავე ქალების თავშეკავება ბავშვების ყოლაზე, რაც იმაზეა დამოკიდებული, რომ არ არსებობს საზოგადოებრივი სისტემა, რომელიც დაეხმარებოდა მათ შეენარჩუნებინათ სამსახური შვილების აღზრდის მხარდამხარ. ჯანმრთელობის, შრომისა და სოციალური დაცვის სამინისტროს კვლევის მიხედვით აღმოჩნდა, რომ გამოკითხული დედების 70% მუშაობდა პირველი შვილის გაჩენამდე ერთი წლის მანძილზე, მაგრამ ბავშვის დაბადებიდან 6 თვის შემდეგ ქალების 70%-ზე მეტი უკვე ანებებდა თავს სამუშაოს. გარდა იმისა, რომ არის სასურველი სამსახურის რეალური დეფიციტი, ქალებისთვის კიდევ ერთ დაბრკოლებას წარმოადგენს ის, რომ მამაკაცები შედარებით ნაკლებად ეხმარებიან მათ საოჯახო საქმეებსა და შვილების აღზრდაში. შეიძლება მსჯელობის საგანი იყოს, რომ საოჯახო საქმეები და შვილების აღზრდა არის „ქალის საქმე“, მაგრამ ქალების მეორე პრობლემა ის არის, რომ 25-დან 40 წლამდე ასაკის მამაკაცებს, ვისაც ამ ასაკში უმეტესწილად პატარა შვილები ჰყავთ, სულ უფრო ხშირად უწევთ დამატებითი სამუშაო საათების აღება და ნაკლებად იცლიან ოჯახისთვის.

მთავრობა მიიჩნევს რომ შობადობის შემცირების პრობლემა მოითხოვს გადაუდებელ ყურადღებას. 1991 წელს მიღებულ იქნა ბავშვებზე ზრუნვის შესახებ კანონი, რომლის მიხედვითაც, დამსაქმებელს არ აქვს უარის თქმის უფლება მის მიერ დასაქმებული ქალი ან მამაკაცი მშობლის სამსახურიდან დროებით გაშვებაზე, როცა ეს მათი წლამდე ასაკის ბავშვის მოვლას სჭირდება. კანონის რამდენჯერმე გადახედვის შემდეგ, იმ მშობლებს, რომლებიც აკმაყოფილებენ კანონით გათვალისწინებულ გარკვეულ მოთხოვნებს, უფლება ეძლევათ აიღონ შვებულება სანამ ბავშვი წლინახევრის გახდება. არსებობს ისეთი დადგენილებებიც, რომლის მიხედვითაც სკოლამდელი ასაკის ბავშვის მშობლებს ეძლევათ 5 თავისუფალი დღის გამოყენების უფლება წელიწადში, რათა მოუარონ შვილს ავადმყოფობისა ან დაშავების შემთხვევაში.

საზოგადოების დაბერების მიღმა შობადობის შემცირების გარდა კიდევ ერთი ფაქტორი დგას, საშუალო სიკვდილიანობის ასაკის ზრდის ალბათობა. საშუალო სიკვდილიანობის ასაკი 2011 წლის მონაცემებით, იყო ქალებში - 85.90 და კაცებში - 79.44 წელი. ამ მაჩვენებლების მიხედვით, იაპონიას აქვს ყველაზე ხანგრძლივი სიცოცხლისუნარიანობის კოფიციენტი მთელ მსოფლიოში. ქალები შეადგენენ 65 წლის ასაკის მოსახლეობის 60 %-სა და 85 წლის მოსახლეობის 70%-ზე

მეტს. მზარდი უფროსი ასაკის მოსახლეობაზე ზრუნვისთვის, 2000 წელს განხორციელდა გრძელვადიანი დაზღვევის სისტემა.

ხანდაზმული ნათესავების სახლში მოვლის შემთხვევაში, ძირითადი დატვირთვა მოდის ქალებზე, მიუხედავად იმისა, მუშაობენ თუ არა ისინი. ამგვარი საჭიროებების საპასუხოდ დამატებითი ოჯახის მოვლის დებულებები დაემატა 1995 წელს ბავშვთა მოვლის შესახებ კანონს და მას უწოდეს ბავშვისა და ოჯახის მოვლასთან დაკავშირებული შვებულების შესახებ კანონი. ამ შესწორებამ, რომელიც ძალაში შევიდა 1999 წელს, საშუალება მისცა რეგულარულ სამსახურებში დასაქმებულ პირებს აეღოთ სპეციალურად მათთვის განკუთვნილი შვებულება ცოლის, მშობლის, სკოლამდელი ასაკის ბავშვისა თუ მეუღლის მშობლის მოსავლელად.

საქორწინო ასაკი

იაპონიაში იმ ქალების პროცენტული მაჩვენებელი, რომლებიც ოფიციალურად განაგრძობენ განათლების მიღებას უმაღლესი სკოლების დასრულების შემდეგ, არის ძალიან მაღალი. 2012 წელს უმაღლესი სკოლების კურსდამთავრებულთაგან ქალების 54,8-მა და მამაკაცების 51,4-მა პროცენტმა განაგრძო სწავლა უნივერსიტეტებსა და ჯუნიორთა კოლეჯებში. უმაღლესი განათლების მიღების შემდეგ ქალთა მზარდ რაოდენობას სურს მამაკაცების მსგავსად დაიწყონ მუშაობა. შესაბამისად, ძველ დროსთან შედარებით, ქორწინების ცნება, როგორც ქალის უმთავრესი მიზანი ცხოვრებაში, სარგებლობს ნაკლები პრევალენტურობით. მოსახლეობის ეროვნული ინსტიტუტისა და სოციალური უსაფრთხოების კვლევების თანახმად, დაუქორწინებელი იაპონელი ქალი და მამაკაცი დარწმუნებულია, რომ ქორწინება შეზღუდავს მათ მოქმედებებს, ცხოვრების სტილს, ურთიერთობებს მეგობრებთან, დაემატებათ ფსიქოლოგიური ტვირთი თუ როგორ უნდა არჩინონ ოჯახი. შესაბამისად, ხალხის დიდი ნაწილი ამჯობინებს გვიან დაოჯახებას ან სულაც რჩება დაუოჯახებელი.

1980 წელს დაუქორწინებელთა პროცენტული მაჩვენებელი 25 დან 29 წლამდე იყო კაცებში - 55,1%, და ქალებში - 24,0%. 2005 წლისთვის კი კოეფიციენტები გაიზარდა და შესაბამისად, გახდა კაცებში - 72,6% და ქალებში - 59,9%. კვლევებმა დაადგინა რომ ყოველი შვიდი ქალიდან, რომლებიც ამჟამად 16 წლისანი არიან, ერთი გაუთხოვარი დარჩება.

2010 წელს საშუალო ასაკი პირველი ქორწინებისთვის ქალებში იყო 28.8 წელი, კაცებისთვის - 30.5 წელი. კიდევ ერთი ტრადიციების ცვლილებათა ინდიკატორი იაპონიაში არის განქორწინების დიდი მაჩვენებელი. 1980 წლის მონაცემებით, ყოველი 1000 მოსახლიდან განქორწინებულია 1,22 % და 2011 წლის აღრიცხვის მიხედვით - 1,87 %.

ბალანსი სამსახურსა და ცხოვრებას შორის

ადრეულ პერიოდში კაცები ორიენტირებულნი იყვნენ კარიერაზე და ოჯახის მატერიალური უზრუნველყოფით იყვნენ დაკავებული. ისინი საოჯახო საქმეებსა და შვილების მოვლა-პატრონობას მეუღლეებს გადასცემდნენ. მაგრამ დღეს სულ უფრო და უფრო მეტი მამაკაცი ატარებს დროს ოჯახთან ერთად. უფრო მეტიც, დასაქმების სახეობების ცვლილებებთან ერთად, ე. წ. ორშემოსავლიანი ოჯახები, სადაც ცოლიც დასაქმებულია და ქმარიც, უკვე უმრავლესობას წარმოადგენს იაპონიაში. ასეთი ოჯახის უფროსი, როგორც წესი, კომპანიაშია დასაქმებული.

ბოლო დროს გაჩნდა ტენდენცია, თანამედროვე საზოგადოება ეხმარება იმ მამაკაცების მზარდ რიცხვს, რომლსაც სურს შეენაცვლონ მეუღლეებს ოჯახურ საქმიანობაში, მაგალითად, სადილის მომზადებაში, შვილების აღზრდაში და ა. შ. ბევრი კომპანია მხარში უდგას თავის თანამშრომლებს იზრუნონ შვილების აღზრდაზე, უფრო მეტიც, აქვთ წახალისების პროგრამაც, რომ მამაკაცმა მშობლებმა აიღონ ბავშვის მოვლისთვის განკუთვნილი შვებულებები. მუნიციპალური მმართველობები ასევე სთავაზობენ მამაკაცებს მშობლის კურსებს, რაც ასევე მოიცავს ისეთ საკითხებს, როგორიცაა მამების ფსიქიკური თუ ფსიქოლოგიური მომზადება ბავშვების მოსაველეად.